ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №12

2023 წლის 25 მაისი

ქ. ონი

ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სახელწოდების არმქონე გეოგრაფილი ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე" ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **გადაწყვიტა:**

1. განხორციელდეს ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზრვრებში მდებარე სახელწოდების არმქონე გეოგრაფიულიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდება დანართების შესაბამისად.
2. განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გადაეგზავნოს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომიისას.
3. განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოქვეყნდეს სსიპ - „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდზე.
4. ონის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
5. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. #13).

საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი